პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

6 აგვისტო [illegible] 1964 წ.

№ 115 (1751)

გამოცემის მე-18 წელი.

ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ფიზიკური და ესთეტიკური აღზრდის მიზნით ყველა სკოლაში და სკოლის გარეშე დაწესებულებაში მოეწყობა ტანვარჯიშის დარბაზები, სასპორტო ქალაქები, შეიქმნება პირობები ბავშვთა მხატვრული შემოქმედებისათვის, მუსიკაში, ფერწერასა და ქანდაკებაში მეცადინეობისათვის. გაფართოვდება ქალაქისა და სოფლის საბავშვო სტადიონების, სასპორტო სკოლების, ტურისტული ბანაკების, სათხილამურო ბაზების, საწყალჯომარდო სადგურების, აუზებისა და სხვა სასპორტო ნაგებობათა ქსელი“.

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტიდან**

## პიონერული ბანაკების შესახებ

საქართველოს სპორტკავშირის პრეზიდიუმმა ამ რამდენიმე დღის წინათ მიიღო დადგენილება ხაშურისა და ბორჯომის ზონებში შემავალ პიონერთა ბანაკებში გამაჯანსაღებელი სპორტული მუშაობის შესახებ.

დადგენილებაში ნათქვამია, რომ ხაშურისა და ბორჯომის ზონებში შემავალ პიონერთა ბანაკებში მიმდინარე წელს საგრძნობლად გაუმჯობესდა გამაჯანსაღებელი და ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა. ბანაკებში შეკეთდა სპორტული მოედნები, დროულად იქნა შეძენილი სპორტული ინვენტარი. რიგ ბანაკებში პიონერების ძალებით მოეწყო ახალი სპორტული მოედნები და საბანაო ადგილები.

გამაჯანსაღებელ - ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის წარმართვის საქმეში კარგი მაჩვენებლებით გამოირჩევიან კვების მრეწველობის პროფკავშირის სურამის (ბანაკის უფროსი ა. ხიტირი, ფიზიკური აღზრდის ხელმძღვანელი შ. სამადაშვილი), კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ტაშისკარის (ბანაკის უფროსი ვ. ბაბუციძე, ფიზიკური აღზრდის ხელმძღვანელი რ. იაშვილი) და სხვა ბანაკები.

პიონერთა ბანაკებს სათანადო ყურადღებას აქცევს და ეხმარება ხაშურის რაიონის სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირი, რომელმაც ივლისში ჩაატარა საბანაკთაშორისო სპარტაკიადა სპორტის რამდენიმე სახეობაში.

და მაინც აღნიშნული რაიონების პიონერთა ბანაკებისა და აგრეთვე სპორტკავშირების მუშაობაში არსებობს სერიოზული ნაკლოვანებანი. რიგ პიონერთა ბანაკებში (ადგილობრივი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ქვიშხეთის პიონერთა ბანაკი — ფიზაღზრდის ხელმძღვანელი გ. ჰელიძე, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პიონერთა ბანაკი— ფიზაღზრდის ხელმძღვანელი გ. ცხოვრებაძე და სხვ.). ცუდადაა დაყენებული გამაჯანსაღებელი, მასობრივი და ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა. მედმუშაკთა კავშირის ბანაკში (ფიზაღზრდის ხელმძღვანელი გ. ლექავა) მთელი პირველი ნაკადის განმავლობაში არც ერთი ექსკურსია და ტურისტული ლაშქრობა არ ჩატარებულა, არ მოუმზადებიათ იმით ნიშნოსნები.

გასულ წელთან შედარებით სუსტადაა დაყენებული პიონერთა ბანაკებში ცურვის მასობრივად შესწავლის საქმე. ხაშურის ზონის პიონერთა ბანაკებში ცურვა შეასწავლეს მხოლოდ 163 ბავშვს.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სპორტკავშირის პრეზიდიუმმა პიონერთა ბანაკების ფიზიკური აღზრდის ხელმძღვანელებს დაავალა გაითვალისწინონ ნაკლოვანებანი.



ხაშურის რაიონში ბევრია ახალგაზრდული და პიონერული ბანაკები, ერთი ასეთი ბანაკი, რომელიც კულტურის მუშაკთა პროფკავშირებს ეკუთვნის, მდებარეობს ტაშისკარში. ბანაკში შექმნილია სხვადასხვა სპორტული ჯგუფები.

**სურათზე:** ტურიზმის მოყვარულნი ფიზკულტურის ხელმძღვანელ რ. იაშვილის ხელმძღვანელობით მიემართებიან თამარის ციხის დასალაშქრავად.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

### გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 6 აგვისტოსათვის

**I ჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 18 | 14 | 1 | 3 | 45:19 | 29 |
| „ავანგარდი“ (ხარკოვი) | 19 | 10 | 6 | 3 | 21:13 | 26 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 18 | 9 | 6 | 3 | 34:22 | 24 |
| „დინამო“ (თბილისი) | 19 | 9 | 5 | 5 | 33:22 | 23 |
| ს კ ა (როსტოვი) | 17 | 9 | 3 | 5 | 37:17 | 21 |
| „შახტიორი“ (სტალინო) | 19 | 6 | 5 | 8 | 18:21 | 17 |
| „ნეფტიანიკი“ (ბაქო) | 19 | 4 | 8 | 7 | 20:31 | 16 |
| „ტრუდი“ (ვორონეჟი) | 20 | 5 | 5 | 10 | 24:31 | 15 |
| „ადმირალტეეცი“ (ლენინგრადი) | 19 | 5 | 4 | 10 | 21:29 | 14 |
| „დაუგავა“ (რიგა) | 19 | 3 | 6 | 10 | 20:39 | 12 |
| „სპარტაკი“ (ვილნიუსი) | 19 | 2 | 5 | 12 | 16:45 | 9 |

**II ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ც ს კ ა | 19 | 13 | 3 | 3 | 54:25 | 29 |
| „დინამო“ (კიევი) | 19 | 11 | 5 | 3 | 36:18 | 27 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 19 | 9 | 5 | 5 | 35:20 | 23 |
| „პახტაკორი“ (ტაშკენტი) | 20 | 9 | 5 | 6 | 30:33 | 23 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 19 | 8 | 5 | 6 | 33:27 | 21 |
| „სპარტაკი“ (ერევანი) | 19 | 7 | 7 | 5 | 26:26 | 21 |
| „კაირატი“ (ალმა-ატა) | 19 | 6 | 5 | 8 | 22:28 | 17 |
| „მოლდოვა“ (კიშინიოვი) | 19 | 6 | 4 | 9 | 30:35 | 16 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 19 | 5 | 5 | 9 | 23:34 | 15 |
| „ბელარუსი“ (მინსკი) | 19 | 3 | 5 | 11 | 15:31 | 11 |
| „კალევი“ (ტალინი) | 19 | 0 | 7 | 12 | 13:41 | 7 |

* * *

„ტორპედო“ (მოსკოვი)-„შახტიო რი“ (სტალინო) — 1:0
„ადმირალტეეცი“ (ლენინგრადი)- „ნეფტიანიკი“ (ბაქო) — 2:2
„ავანგარდი“ (ხარკოვი)-„ტრუდი“ (ვორონეჟი) — 2:0
„სპარტაკი“ (ერევანი)-„ზენიტი“ (ლენინგრადი) — 3:2
„დინამო“ (კიევი)-„პახტაკორი“ (ტაშკენტი) — 3:1
„კალევი“ (ტალინი)-„სპარტაკი“ (მოსკოვი) — 2:2
„მოლდოვა“ (კიშინიოვი)-„კაირატი“ (ალმა-ატა) — 1:0

## მატჩი ვილნიუსში

**ვილნიუსი,** 5 აგვისტო. (ჩვენი სპეც. კორ.). დღეს აქ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდმა ჩაატარა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ადგილობრივ „სპარტაკთან“. თბილისელები თამაშობდნენ შემდეგი შემადგენლობით: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ჩოხელი, ხოჯოლავა, გ. სიჭინავა, ხელაძე, დათუნაშვილი, ბარქაია, კალოევი, იამანიძე, მესხი.

მატჩის ანგარიშია 5:0 თბილისელთა სასარგებლოდ. ბურთები გაიტანეს: პირველ ტაიმში — დათუნაშვილმა და ბარქაიამ (ამ უკანასკნელის მიერ დარტყმული ბურთი მოხვდა მცველს და იქიდან გავიდა კარში), მეორე ტაიმში — მესხმა, დათუნაშვილმა და კვლავ მესხმა.

**ფრუნზე.** 4 აგვისტო. შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა II ზონის გუნდებს შორის. ქუთაისის „ტორპედო“ შეხვდა ადგილობრივ „ალგას“.

ქუთაისელებმა მოწინააღმდეგე დაამარცხეს ანგარიშით 2:0.

* * *

**ლიეპაია.** აქ თამაშობდნენ I ზონის გუნდები — ადგილობრივი „სელმაში“ და ბათუმის „დინამო“. მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

## სტუდენტთა გუნდებს შორის

**მოსკოვი.** (ტელეფონით). აქ დამთავრდა „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობა სტუდენტ ხელბურთელთა გუნდებს შორის. ქალთა შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა ჩერკასის პედინსტიტუტის გუნდი. მომდევნო ადგილებზე არიან კაუნასისა და სვერდლოვსკის კოლექტივები. თბილისის პედინსტიტუტის ხელბურთელებმა დაიკავეს მერვე ადგილი და გაასწრეს მხოლოდ ტაშკენტელ თანაგუნდელებს.

ვაჟთა შეჯიბრებაში პირველი სამი ადგილი წილად ხვდათ ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტული კლუბის გუნდებს კიევიდან, კაუნასიდან და ბაქოდან. თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა მოიპოვა მეხუთე ადგილი.

# დღეს რკინიგზელთა საკავშირო დღეა, ფიზკულტურული სალამი ფოლადის მაგისტრალების საბჭოთა მუშაკებს!





ბიბლიოთეკა

სურათზე: მარცხნივ — მაგიდის ჩოგბურთელებმა უკვე გააჩაღეს თამაში — აწკარუნდა მაგიდის ორივე მხარეს პატარა ბურთი. ქვევით—ფრენბურთელებმა მოედანი თვითონ მოასწორეს და პირველი ამხანაგური შეხვედრა მოაწყვეს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



# ნაკადი ნაკადს ცვლის

პიონერთა ბანაკში დამსვენებელთა უმრავლესობა ზაფხულის მხოლოდ ერთ გარკვეულ მონაკვეთს ატარებს. შემდეგ კი მათ მეორე ნაკადი ცვლის, მეორეს— მესამე და საბანაკო ზაფხულიც იწურება. ასე იყო ახლაც, ერთნი მოდიოდნენ დასასვენებლად, მეორენი კი გაკაჟებულები მშობლიურ ქალაქსა თუ სოფელს უბრუნდებოდნენ. ჩვენ ტაშისკარის კულტურის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის პიონერთა ბანაკს მაშინ ვეწვიეთ, როცა მესამე ნაკადი სულ ორი დღის ჩასული იყო.

**ტაშისკარში...**

...არა, ამ ბანაკში მთელ ზაფხულს დარჩენა არ დაგვჭირდება; საკმარისია ბანაკს შუა ზაფხულში ვეწვიოთ და აქ დასასვენებლად ჩამოსული ბავშვების მიერ მიღებულ შთაბეჭდილებათა შედეგად შექმნილ ჩანაწერებს, ფოტოალბომებს, სპორტულ შეჯიბრებათა ოქმებს გულდასმით გადავხედოთ, რომ ბანაკში კარგად გატარებული ზაფხულის სურნელება მთელი სიგრძე-სიგანით ვიგრძნოთ...

პიონერთა ბანაკის ცხოვრება, ხომ დილის გამამხნევებელი ვარჯიშით იწყება ხოლმე. თითქოს აქ არაფერია არაჩვეულებრივი, მაგრამ... ტაშისკარის ბანაკში დღის რეჟიმის ამ აუცილებელი ატრიბუტისათვის შეჯიბრების სახე მიუციათ და იგი უფრო მიმზიდველი გაუხდიათ. როგორც წესი, ბანაკის ფიზკულტურის მასწავლებელი რ. იაშვილი ყოველ ნაკადის დასაწყისში რაზმებში გამოჰყოფს ხოლმე დილის გამამხნევებელი ვარჯიშის ჩატარებაზე პასუხისმგებელ პირებს, შეასწავლის მათ ვარჯიშის კომპლექსს და შემდეგ კი უკვე მისი მეთვალყურეობით რაზმებში იწყება დილის დაჰქროვის პროცესი.

ბანაკის ფიზკულტურის მასწავლებელი ნაკადის დასაწყისშივე რაზმების მიხედვით ირკვევს პიონერთა შესაძლებლობებს, ხდება მათი ჩაწერა სპორტულ წრეებში და ამის შემდეგ დგება სამეცადინო ცხრილი. გარდა ამისა, პიონერთა შორის შეირჩევა აქტივი, რომელთა დახმარებითაც სპორტულ წრეებში მუშაობა უფრო ნაყოფიერი ხდება.

ტაშისკარის პიონერთა ბანაკის გახსნის დღეებში აქ მოსული პიონერების ინიციატივით მრავალი სასარგებლო საქმე გაკეთდა. ერთნი ფრენბურთის მოედნის მოსწორებაზე მუშაობდნენ, მეორენი— საცურაო აუზის ტერიტორიის კეთილმოწყობაზე, მესამენი —მძლეოსნურ სექტორს აწყობდნენ. პიონერული ზაფხულის ორი ნაკადის მანძილზე ნორჩები სპორტულ ოსტატობას იმაღლებდნენ ფრენბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, მძლეოსნობის, ჭადრაკის, შაშისა და ცურვის წრეებში.

ამ რამდენიმე ხნის წინათ ხაშურის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე 16 პიონერთა ბანაკს შორის ჩატარდა საბანაკთაშორისო სპარტაკიადა. სპარტაკიადაზე ტაშისკარელებმაც ისახელეს თავი. ბანაკის გუნდმა საერთო მეორე ადგილი დაიკავა. სპორტის ცალკეულ სახეობათაგან ტაშისკარის პიონერთა ბანაკის ნორჩი სპორტსმენები პირველები იყვნენ მძლეოსნობასა და მაგიდის ჩოგბურთში. ფრენბურთში მათ მეორე ადგილი დაიკავეს..

საბანაკთაშორისო სპარტაკიადაზე ბანაკის პიონერებმა მარტო მძლეოსნობაში 7 სათანრიგო ნორმატივი შეასრულეს. თბილისელმა პიონერმა ნარგიზ სოსანიძემ 60 მ რბენაში, სიგრძესა და სიმაღლეზე ხტომაში ჰაბუკთა II თანრიგის ნორმატივი შეასრულა, სამტრედიელმა ბორის ბოთერაშვილმა—60 მ რბენაში და სიმაღლეზე ხტომაში.

საბანაკო ცხოვრების პერიოდში 20 პიონერი იმშთ ნიშნოსანი გახდა, ათმა ახალბედამ კი ბანაკის საცურაო აუზში ცურვა ისწავლა. პიონერთა სიხარულს იწვევს ხოლმე სალაშქრო ბილიკებზე გასვლა. რაიონის ისტორიული ძეგლების დათვალიერების მიზნით აქ მრავალი საინტერესო ლაშქრობა მოეწყო. ნორჩმა მოლაშქრეებმა მოინახულეს სურამის, თამარისა და „ბულბულის“ ციხეები, ესტუმრნენ სხვა ისტორიულ ძეგლებსაც.

ნორჩ ფიზკულტურელებს სპორტული ზაფხულის ამსახველი მრავალი წერილი მოუთავსებიათ სახელდახელოდ გამოშვებულ კედლის გაზეთებში.

პიონერები სპორტულ თამაშებსა და მხატვრულ თვითმოქმედებაში მონაწილეობის გარდა შრომით საქმიანობაშიც ხალისით არიან ჩაბმულნი. აი პიონერ ნ. ჰანტურიას ჩანაწერიც: „ვიყავით ქვიშხეთის საბჭოთა მეურნეობაშიც. საქმე ბევრი იყო. მე და ჩემმა ამხანაგებმა თავთავების მთელი ზვინი დავაყენეთ. ჩვენც— პიონერები, ჩვენს მშობლებთან ერთად სიხარულით ვხვდებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას. საბჭოთა მეურნეობის მუშაკებისადმი ჩვენი დღევანდელი შრომით დახმარებას ყრილობას მივუძღვნით“...

პიონერთა ბანაკის მესამე ნაკადში უფრო მოზრდილები—15-18 წლის ჭაბუკები და გოგონები ისვენებენ. ისინი უკვე შესდგომიდნენ წრეების სამეცადინო ცხრილის შედგენას და ლამაზად გაფორმებას. ჯემალ ყელაურიძე კარგი მხატვარი აღმოჩნდა და ამხანაგებმა მას მიანდეს ამ საქმის გაკეთება. ახალგაზრდათა ერთი ჯგუფი კი უამინდობისაგან დაზიანებულ საცურაო აუზის მოწესრიგებას შეუდგა.

ტაშისკარის ბანაკში ჩამოსული ახალგაზრდებიდან უკვე გამოვლინდნენ სპორტის სხვადასხვა სახეობის მოყვარულები: თბილისელი თ. იაშვილი და ქუთაისელი ნ. ჩეჩელაშვილი კარგი მაგიდის ჩოგბურთელები არიან. გარდაბნელი ჰ. ტაშტამიროვი და თბილისელი ნ. ბოკუჩავა ფრენბურთელები არიან, თბილისელი გ. მუხრანელი კი კალათბურთელია... სწორედ ამათ და კიდევ მრავალმა სხვამ უნდა ჩააბან მესამე ნაკადში დამსვენებელი ჭაბუკები და გოგონები სპორტულ ცხოვრების ფერხულში, სწორედ ამათ უნდა დაანთონ ახალი სპორტული ცეცხლი ტაშისკარის სპორტულ მოედნებზე. გაიწრთობიან, გაკაჟდებიან და სპორტულ ასპარეზობაში გამარჯვებათა სიხარულს იგრძნობენ ტაშისკარში ახლახან ჩასული ჭაბუკები და გოგონები.

ჯ. ენუქიძე

საქართველოს პირველობა

## გათამაშების ცხრილები

### I ჯგუფი

მდგომარეობა 6 აგვისტოსათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სიხარული“ მახარაძე | 17 | 12 | 3 | 2 | 49:21 | 27 |
| „მეშახტე“ ტყიბული | 18 | 11 | 5 | 2 | 42:16 | 27 |
| ფიზკ. ინსტ. თბილისი | 18 | 10 | 5 | 3 | 38:19 | 25 |
| „იმერეთი“ ქუთაისი | 17 | 7 | 8 | 2 | 34:21 | 22 |
| „განთიადი“ ბათუმი | 18 | 9 | 4 | 5 | 31:28 | 22 |
| სკა თბილისი | 17 | 8 | 5 | 4 | 36:19 | 21 |
| „შუქურა“ ქობულეთი | 18 | 7 | 6 | 5 | 34:26 | 20 |
| „მადაროელი“ ჭიათურა | 18 | 7 | 5 | 6 | 30:26 | 19 |
| „კოლხიდა“ ხობი | 17 | 4 | 7 | 6 | 30:25 | 15 |
| „ბახმარო“ ჩოხატაური | 18 | 6 | 3 | 9 | 23:44 | 15 |
| „კოლმეურნე“ თელავი | 18 | 3 | 7 | 8 | 34:52 | 13 |
| „მექანიზატორი“ ადიგენი | 18 | 4 | 3 | 11 | 28:39 | 11 |
| „სალხინო“ გეგეჭკორი | 18 | 3 | 2 | 13 | 21:58 | 8 |
| „დინამო“ სოხუმი | 18 | 0 | 3 | 15 | 18:50 | 3 |

### II ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „გურია“ ლანჩხუთი | 18 | 14 | 1 | 3 | 48:25 | 29 |
| „მესხეთი“ ახალციხე | 18 | 10 | 4 | 4 | 41:19 | 24 |
| „სპარტაკი“ სტალინირი | 18 | 11 | 2 | 5 | 34:26 | 24 |
| „ლოკომოტივი“ სამტრედია | 18 | 9 | 4 | 5 | 33:25 | 22 |
| „ოდიში“ ზუგდიდი | 18 | 8 | 4 | 6 | 32:23 | 20 |
| „ფეიქარი“ წულუკიძე | 18 | 8 | 4 | 6 | 39:36 | 20 |
| „განთიადი“ ცხაკაია | 18 | 9 | 2 | 7 | 31:39 | 20 |
| „მეზღვაური“ ფოთი | 18 | 7 | 4 | 7 | 25:21 | 18 |
| „მშენებელი“ ქუთაისი | 18 | 5 | 6 | 7 | 21.28 | 16 |
| „სპარტაკი“ თბილისი | 18 | 5 | 5 | 8 | 20:27 | 15 |
| „დილა“ გორი | 18 | 5 | 3 | 10 | 25.29 | 13 |
| „დურუჯი“ ყვარელი | 18 | 4 | 5 | 9 | 21.39 | 13 |
| „ისანი“ თბილისი | 18 | 4 | 3 | 11 | 25:35 | 11 |
| „სპარტაკი“ რუსთავი | 18 | 1 | 5 | 12 | 21.46 | 7 |

# კ ა ვ კ ა ს ი ო ნ ზ ე

კავკასიონი,
კავკასიონი
მხრებგანიერი,
ცამდის მაღალი.
ენგური, თერგი,
შმაგი რიონი
და შთაგონება
მუდამ ახალი.
ხევში ნისლები,
მთებზე ბალახი
ჯიხვის და არჩვის
მოსაძოვარი,
კბოდების თავზე —
მზის ყაბალახი,

ყვავილი ობლად
ღირსსახსოვარი.
ჯანსაღი მკერდი,
სუფთა ჰაერი,
თვალი ჰთებს იქით
გადამხედვარი.
გარშემო მთები,
ინატრე ფრთები —
იისფერ სივრცის
გახდი მხედარი.

ზეცა მზიანი,
ხან ავდრიანი,
მეხთა ქუხილი,
ელვის ჰათრახი.
ორბთა, არწივთა
თვალთა ბრიალი
და ჩანჩქერების
კლდესთან ჭახანი.
კავკასიონი
მზეზე მბზინავი,

მყინვართა ელვა,
თხემი, პლატონი,
უშბა, თეთნულდი,
თეთრი მყინვარი—
მარადიული
სივრცის ბატონი.
კავკასიონი —
გულთა ოცნება,
სიკვდილ-სიცოცხლის
დიდი კავშირი.

გაბმული თოკი,
კლდეებზე ცოცვა,
მწვერვალზე დროშა
ლაღად გაშლილი.
კავკასიონი,
კავკასიონი
მხრებგანიერი,
ცამდის მაღალი,
ენგური, თერგი,
მზიფი, რიონი
და შთაგონება
მუდამ ახალი.

დ. ხახიაშვილი

# ჭაბუკის სპორტული რუმინეთი

ჰყვავის სპორტული რუმინეთი და ამ აყვავების ყველაზე მკაფიო, უტყუარი დადასტურებაა ციფრები, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ სოციალური პროგრესის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის ფრონტებზე მოპოვებული გრანდიოზული გამარჯვებების პარალელურად რა მძლავრი ნაბიჯები გადადგა წინ განახლებულმა, სახალხო რესპუბლიკამ ფიზკულტურული მოძრაობისა და სპორტის სფეროში. ეს დიდი სპორტული გამარჯვება ზედმიწევნით ასახავს რუმინეთის მშრომელთა ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების რაობას. იგი ზუსტად გამოხატავს ქვეყნად მომხდარი დიდი ცვლილებების შინაარსს — მთელი დოვლათის, სიმდიდრეების, კულტურის მონაპოვართა სახალხო საკუთრებად გადაქცევის ფაქტს.

აი კონკრეტული მაგალითებიც: წინ, 1944 წლამდე, სანამ დასაბამი მიეცემოდა თავისუფალი რუმინეთის არსებობას, აქ მხოლოდ 300 სპორტული მოედანი არსებობდა, ხოლო სპორტსმენთა რიცხვი ძლივს აღწევდა 15 ათასს. ვის ეკუთვნოდა ეს სპორტული ბაზები? რა თქმა უნდა, მდიდარ ადამიანებს, რომლებიც მშრომელთა ექსპლოატაციის ხარჯზე ცხოვრობდნენ. ეს ბაზები მიუწვდომელი იყო ამავე მშრომელთა ფართო მასებისათვის! დღეს? დღეს სახალხო რუმინეთი ერთ-ერთი უმდიდრესია ფიზკულტურელთა რიცხვითა და სპორტული ბაზების თვალსაზრისითაც. 9 ათასამდე კომპლექსური და მარტივი სპორტული ნაგებობა — ასეთი მდიდარი ქსელი დასავლეთ ევროპის რომელიც გნებავთ განვითარებულ ქვეყანასაც კი შეშურდება! 600 საფეხბურთო მინდორი, 200 სტადიონი, 320 ტანვარჯიშული დარბაზი, 100 საცურაო აუზი, კალათბურთისა და ფრენბურთის ათასობით მოედანი — ასეთია განახლებული რუმინეთის ფიზკულტურული და სპორტული მოძრაობის მძლავრი მატერიალური ბაზა, რომელიც საფუძვლად უდევს ამ სფეროებში მოპოვებულ ბრწყინვალე გამარჯვებებს. 2 მილიონი ფიზკულტურელი! — ესაა ძირითადი რგოლი ამ გამარჯვებათა შორის, რომელიც თვალნათლივ მეტყველებს, თუ რა გასაოცარი ტემპების მიღწევა შეიძლება ყველა დარგში, როცა ხელისუფლების სათავეში ჭეშმარიტად ხალხური მთავრობაა და ყველაზე მაღლა დგას თვით ხალხის ინტერესები.

ამასვე ადასტურებს სათხილამურო სპორტისა და ტურიზმის არნახული განვითარება სახალხო რუმინეთში. აღსანიშნავია, რომ მარტო გასული წლის „ზამთრის სპარტაკიადაზე“ 200 ათასზე მეტმა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა, ხოლო სათხილამურო სპორტისა და ტურიზმის ასოციაციებში გაერთიანებულ წევრთა რიცხვი 2 მილიონს აჭარბებს.

რუმინეთის ბანაკები და სათხილამურო ცენტრები ყოველწლიურად იღებენ ასიათასობით მუშას, მოსწავლეს, სტუდენტს. სათხილამურო ფედერაციამ მარტო 1960 წელს დამატებით შექმნა კიდევ 25 ცენტრი და 10 სპეციალური სკოლა ახალგაზრდებისათვის 17 წლის ასაკამდე.

დღეს რუმინეთში მძლეოსნობას მისდევს 200 ათასი კაცი, ფეხბურთს —100 ათასზე მეტი, ფრენბურთს — 35 ათასი.

ფიზკულტურულ-მასობრივ მუშაობაში მოპოვებული ეს შესანიშნავი წარმატებანი საფუძვლად დაედო რუმინეთის სულ უფრო მზარდ ხვედრით წონას სპორტში მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ჯერ კიდევ ამ ხუთი წლის წინათ რუმინელმა სპეციალისტებმა მეტად საინტერესო მაჩვენებლებით ცხადყვეს მათი ქვეყნის საოცარი პროგრესი სპორტში: 1944 წლის 23 აგვისტომდე — რუმინეთის გათავისუფლების დღემდე დამყარებული ყველა ეროვნული რეკორდი უკვე რამდენიმე ათეულჯერ არის გაუმჯობესებული. 17 წლის წინათ ცურვაში არსებულ სარეკორდო მაჩვენებლებს ახლა ასობით ნორჩი რუმინელი სპორტსმენი ასრულებს. ძალოსნობაში, მაგალითად, მძიმე წონის ეროვნული რეკორდი კარგა ხანია გაიზარდა 270-დან 442,5 კილოგრამამდე. განვლილი 17 წლის მანძილზე რუმინეთში 1,100-მდე ახალი რეკორდი იქნა დამყარებული, რომელთაგან ბევრი მსოფლიო რეკორდების დონეს აღწევს.

ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა ორმილიონიან მასას არ შეიძლებოდა სულ მოკლე ხანში არ წარმოეშვა ისეთი ბრწყინვალე სპორტსმენები, რომლებიც წევრთა შორის ფართო პარეზზე ასახელებენ განახლებულ სამშობლოს — რუმინეთის სახალხო რესპუბლიკას. რუმინეთი დღეს მსოფლიო და ევროპის ჩემპიონებისა და რეკორდსმენების, საყოველთაოდ აღიარებული შესანიშნავი სპორტსმენების სამშობლოა. აი ისინიც: მსოფლიო რეკორდსმენი სიმაღლეზე ხტომაში იოლანდა ბალაში, მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები ნიჩბოსნობაში — სიმეონ ისმაილჩუკი და ალექსე დუმიტრუ, მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი პარაშუტისტი ქალი, ფეიქარი ელენე ბაკაოანუ, ცნობილი ტანმოვარჯიშე ელენე ტეოდორესკუ, ნიჩბოსანი ლ. როტმანი და მრავალი სხვანი.

ჰყვავის სპორტული რუმინეთი და კიდევ უფრო ბრწყინვალე გამარჯვებებს გვიქადის იგი მომავალში!

## გვესაუბრება ბუქარესტი

გუშინ ჩვენ ტელეფონით დავუკავშირდით ბუქარესტს და სპორტულ გაზეთს „სპორტულ პოპულარს“ ვთხოვეთ სიმაღლეზე ხტომაში ქალთა შორის მსოფლიო რეკორდსმენ იოლანდა ბალაშისათვის გადაეცა რამდენიმე კითხვა. კოლეგებმა არ დააყოვნეს და ჩვენს კითხვებზე გაცემული პასუხები გვაცნობეს. აი ისინიც:

კითხვა: როგორია თქვენი მომავლის გეგმები?

პასუხი: მიმდინარე სპორტული სეზონი გადატვირთულია მძლეოსნობის შეჯიბრებებით. ეს მე მაძლევს საშუალებას მეთოდურად გავაუმჯობესო მსოფლიო რეკორდი სიმაღლეზე ხტომაში. უკვე დავძლიე 191 სანტიმეტრი. ჩემი მიზანია მივწვდე ორმეტრიან ზღვარს.

კითხვა: რა ხასიათის იქნება ფილმი, რომელსაც თქვენს შესახებ იღებენ?

პასუხი: ეს ფილმი დოკუმენტურია და ასახავს ჩემი წვრთნის მეთოდებს. ფილმს იღებს ბუქარესტის დოკუმენტური ფილმების კინოსტუდია.



— ჩვენი მეგობრობის აღსანიშნავად გადავიღოთ სურათები, — მიმართა რუმინელმა ოსტატმა კ. პარტოშმა კურორტ სინაიში მისვლისას ქართველ მოჭადრაკეებს. ასეთივე სურვილი გამოთქვეს რუმინელ მოჭადრაკეთა სტუმრებმა.

— პირველად თქვენს საამაყო ოსტატ ქალებთან გვსურს სურათის გადაღება, — ითხოვა ჯ. მიტიტელუმ. თ. გიორგაძემ აასრულა მისი სურვილი.

სურათზე თქვენ ხედავთ (მარცხნიდან) ჯ. მიტიტელუს, მ. ტოგონიძეს, ნ. გაფრინდაშვილსა და კ. პარტოშს.

# ჩვენ ვიყავით ამ მშვენიერ ქვეყანაში

## ნაცადი ხელმძღვანელის მეთაურობით

მე რამდენჯერმე მქონდა ბედნიერება, როგორც საქართველოს კალათბურთის დელეგაციის წევრს, ვყოფილიყავი რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში, იმ ქვეყანაში, რომელიც მთელს მსოფლიოს წარმოუდგენს ნიმუშს, თუ რა შეუძლია გათავისუფლებულ, სოციალიზმის მშენებლობის გზაზე დამდგარ ქვეყანას.

როცა მოგზაურობთ ამ ქვეყანაში, 17 წლის შემდეგ, მას შემდეგ რაც რუმინეთი გათავისუფლდა ფაშისტური უღლისაგან, გასაოცრად მიგაჩნიათ ის მძლავრი პროგრესი, რომელიც განახორციელა ნიჭიერმა და შრომისმოყვარე რუმინელმა ხალხმა თავისი ცხოვრების ყველა სფეროში; ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი ფაბრიკა-ქარხნები, ნავთის მრეწველობის არნახული განვითარება, სოფლის მეურნეობის სწრაფი აღმავლობა, გრანდიოზული მასშტაბის საბინაო მშენებლობა, დოვლათი და სიმდიდრე — ყველაფერი ეს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკამ განახორციელა გმირული შრომით, რომელსაც სათავეში უდგას ნაცადი ხელმძღვანელი — რუმინეთის მუშათა პარტია და მისი პირველი მდივანი გეორგე გეორგიუ-დეჟი.

ო. ქორქია,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

## მეგობრობას საზღვარი არა აქვს

საკმაო ხანმა განვლო რუმინეთში ქართველი მოჭადრაკეების სტუმრობის შემდეგ, მაგრამ განა შეიძლება არ გაგახსენდეს მეგობრული, ძმური მიღება, რომელიც ჩვენ რუმინეთში გვქონდა.

რუმინელები კარგად გვიცნობენ ქართველებს. მათ იციან დღევანდელი საქართველოს წარმატებათა ამბავი სამრეწველო და კულტურულ მშენებლობაში. ის, ვინც ერთხელ მაინც ყოფილა ჩვენს რესპუბლიკაში, გაცნობია მის ხალხს, მოხიბლული დაბრუნებულა სამშობლოში და ქართველთა კეთილისმოსურნე გამხდარა.

— ჩვენი ხალხების მეგობრობას ისტორიული წარსული აქვს. — მითხრა ერთხელ მოჭადრაკე ჯ. მიტიტელუმ. — ჯერ კიდევ სკოლაში მისწავლია, რომ XVIII საუკუნის დიდი რუმინელი განმანათლებელი ანთიმ იბერიელი წარმოშობით ქართველი იყო. — ალბათ ისიც იცით, რომ სახელოვანმა მოღვაწემ სნაგოვში ააწყო და გამოაქვეყნა ქართული წიგნები.

— როგორ არა. იგი ცდილობდა დაემეგობრებინა თავისი მშობლიური ხალხი მეორე სამშობლოს ქვიდრებთან. მაგრამ იმ დროს ეს მეტად ძნელი იყო, — განაგრძო ჩემმა მოსაუბრემ. — მხოლოდ სახალხო რუმინეთში შეისხა ხორცი იბერიელის გულის ნადებმა. არც ისაა შემთხვევითი, რომ რუმინელმა მოჭადრაკეებმა თავიანთი პირველი სპორტული მეგობრობა საბჭოთა კავშირის ხალხებთან თქვენით დაიწყეს.

ამ საუბარს სხვა რუმინელი ამხანაგებიც დაესწრნენ, რომლებმაც გაიხსენეს თავიანთი შთაბეჭდილებები ქართველ სპორტსმენებთან ურთიერთობიდან.

— დღესაც მახსოვს ოთარ ქორქიას თამაში, აქ ჩვენთან ბუქარესტში, — გვითხრა რუმინეთის საჭადრაკო ფედერაციის მდივანმა ფ. ჰარტმანმა. — იგი განუმეორებელი იყო. და განა მარტო ის. როცა გონების თვალით აღვადგენ ხოლმე ბორის პაიჭაძის გარღვევებს, ახლაც, 16 წლის შემდეგ, ჟრუანტელი მივლის.

მეგობრობას საზღვარი არა აქვს. რუმინელ სპორტსმენებს მასპინძლობა გაუწევიათ ქართველი ფეხბურთელების, კალათბურთელების, მოჭიდავეების, მოფარიკავეებისა და სხვა სპორტსმენებისათვის, ყოველთვის, როცა კი ჩამოვარდებოდა მეგობრობაზე საუბარი, ჩვენ ვამჩნევდით რუმინელების გულწრფელ წადილს — ვიყოთ საუკუნეობით მეგობრები.

თ. გიორგაძე,
ოსტატობის კანდიდატი.

## პირველნი ჩვენ ვიყავით

ჩვენ, თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები, პირველი მერცხლები ვიყავით მათ შორის, ვინც საფუძველი ჩაუყარა განახლებული რუმინეთისა და საქართველოს სპორტულ მეგობრობას.

ჩვენ ვიყავით სახალხო რუმინეთში მისი არსებობის პირველივე წლებში და აღტაცებული დავრჩით ამ სტუმართმოყვარე, ნიჭიერი ხალხით, რომელიც მეგობრულად, სიყვარულით გვხვდებოდა ყველგან — ქუჩებშიც, სასტუმროშიც, სტადიონებზეც... ჩვენ აღტაცებულნი დავრჩით რუმინელი სპორტსმენებითაც, რომლებიც თავისი ქვეყნის მშრომელთა ღირსეული წარმომადგენლები არიან.

იმ წლებში, როცა ჩვენ რუმინეთში ვიყავით, ხალხურ საწყისებზე დაყენებული სპორტი ჯერ მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამდა. ეს არც თუ ისე დიდი ხნის წინათ იყო. და მით უმეტეს საოცარია რუმინეთის სპორტის დიდი გამარჯვება, რომელმაც იგი მსოფლიოს მოწინავე სპორტული სახელმწიფოების რიგებში დააყენა.

გ. გაგუა,
სპორტის დამსახურებული ოსტატი,

ლელო
მე-3 გვ. № 115 (1751)

# ინსბრუკი, 29 იანვარი–9 თებერვალი. 1964 წელი

როგორც ცნობილია, მომავალი „თეთრი ოლიმპიადა“ ინსბრუკში გაიმართება. ვბეჭდავთ ოლიმპიადის პროგრამას და ცალკეულ სახეობათა მოკლე მიმოხილვას.

**1. ბიატლონი.** თეთრი ოლიმპიადის პროგრამაში საცდელად შეტანილმა ბიატლონმა, როგორც ჩანს, ვერ გაამართლა იმედები. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა გადაწყვიტა კიდევ ერთხელ, 1964 წელს მისი გამოცდა, ხოლო შემდეგ შეცვლა ზამთრის ხუთჭიდით (როგორი იქნება ხუთჭიდის ელემენტები — ჯერ გაუგებარია).

**2. ბობსლეი.** უმნიშვნელო შესვენების შემდეგ ბობსლეიმ კვლავ დაიკავა თავისი ადგილი ოლიმპიური თამაშების პროგრამაში. ამ სახეობაში სხვებზე უკეთ გამოდიან იტალიელები.

**3. ციგურები.** თეთრი ოლიმპიადის პროგრამის ერთ-ერთი მთავარი სახეობაა ციგურები. სკვო-ველის ოლიმპიადამდე ყინულოვან ბილიკებზე მხოლოდ ვაჟები გამოდიოდნენ, 1960 წლიდან კი ოქროს მედლებისათვის ბრძოლაში ქალებიც ჩაებნენ. საციგურო სპორტის ავანგარდში მტკიცედ დგანან საბჭოთა სპორტსმენები.

**4. სათხილამურო სპორტი.** ციგურებთან ერთად სპორტის ამ სახეობას ცენტრალური ადგილი უჭირავს თეთრი ოლიმპიადის პროგრამაში. თავდაპირველად ზამთრის თამაშებში სათხილამურო სპორტის მხოლოდ ორი სახეობა ტარდებოდა: რბენა და ტრამპლინიდან ხტომა. 1936 წლიდან მათ შეუერთდა სამთო-სათხილამურო სახეობებიც.

**5. ტობოგანინგი.** 1964 წელს პირველად გაიმართება შეჯიბრება ერთადგილიანი ციგებით სწრაფდაშვებაში.

**6. ფიგურული სრიალი.** ეს სახეობა 16 წლით უფროსია თვით თეთრ ოლიმპიადაზე. ჯერ კიდევ 1908 წელს გამართულ თამაშებში ტარდებოდა ფიგურისტთა შეჯიბრება, უკანასკნელ წლებში ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებს არ ჰყავთ კონკურენტები ამ სახეობაში.

**7. ჰოკეი.** იგი ვეებერთელა პოპულარობით სარგებლობს. მას ჰყავს უამრავი გულშემატკივარი. დიდი ხნის მანძილზე უძლიერესის სახელს არავის უთმობდნენ კანადის ჰოკეისტები, მაგრამ 1956 წელს ჩემპიონის წოდება საბჭოთა კავშირის გუნდმა მოიპოვა. 4 წლის შემდეგ კი ოქროს მედლები ამერიკელმა ჰოკეისტებმა დაიმსახურეს.

# ახალი გოროტმოქმედება — სულის „დოპინგი“

სიეტლის (აშშ) სპორტის მოყვარულნი გაოცებულნი იყვნენ: მათი უნივერსიტეტის გუნდმა, რომელიც მაინცდამაინც დიდი სიძლიერით არ გამოირჩეოდა ამერიკის კლუბებს შორის, ზედიზედ მოიპოვა რამდენიმე გამარჯვება აშშ-ს ცნობილ გუნდებზე და პირველობის ცხრილში უცბად აღმოჩნდა მისთვის მეტისმეტად უჩვეულო, ზედა ნაწილში. ეს რაღაც ჯადოსნური კვერთხის შესახებ ზღაპარს ჰგავდა. მითუმეტეს, რომ გუნდში არავითარი განსაკუთრებული ცვლილება არ მომხდარა: იგივე ხალხი, წვრთნის იგივე მეთოდი და რეჟიმი; ბრწყინვალე გამარჯვებათა ეს სერია ვერ აიხსნებოდა ვერც სიეტლელი სტუდენტების განსაკუთრებული მონდომებით. გაზეთები აღნიშნავდნენ, რომ „ეს გამარჯვებები მოპოვებულ იქნა რაღაც თითქმის მძინარე სტილში, რომელიც ამის მიუხედავად, სიზუსტითა და შეუმცდარობით გამოირჩეოდა“.

ჩვეულებრივ, ასეთ შემთხვევებში, კალათბურთის ამერიკელი სპეციალისტები სწრაფად სვამდნენ უტყუარ დიაგნოზს: დოპინგი!.. მაგრამ ამჯერად ეს დიაგნოზიც სრულიად უადგილო აღმოჩნდა. იმას გარდა, რომ უკანასკნელ ხანებში თვით ამერიკაშიც ატყდა საშინელი განგაში სპორტსმენის ორგანიზმზე დოპინგის უაღრესად მავნე მოქმედების გამო, ახლა მეტისმეტად დაკვირვებულმა სამედიცინო ექსპერტიზამაც კი ვერ აღმოაჩინა აღმგზნების ნხამის რაიმე კვალი.

მაგრამ ექიმებს შორის აღმოჩნდა შორსმჭვრეტელი სპეციალისტი, რომელმაც პირველმა შენიშნა ჩახლართული საიდუმლოს პაწია წვერი და თვითონაც საიდუმლოდ შეინახა იგი, სანამ სიეტლში მისივე მოწვევით ინკოგნიტოდ არ ჩამოვიდა გამოჩენილი ექიმი და დიდი სპეციალისტი ჰიპნოზის დარგში — დოქტორი ჰარალდ როუზი. როუზი სიეტლელ კალათბურთელთა შეხვედრების მუდმივი მაყურებელი გახდა. მაგრამ მას თამაშის იმდენად სპორტული მხარე როდი იტაცებდა...

საიდუმლოს სკანდალური ხმაურით აეხადა ფარდა, როცა ამერიკულ სამედიცინო ჟურნალში — „ამა ნიუსში“ გამოქვეყნდა ჰარალდ როუზის სტატია, რომელიც დაუნდობლად ამათრახებდა აშშ-ს კალათბურთის მესვეურთ „დოპინგის“ ახალი სახეობის — ჰიპნოზის გამოყენებისათვის სპორტში. დოპინგი სხვა არაფერია, თუ არა ნარკოზით ადამიანის ნერვული სისტემის აღგზნება; იგივე ამოცანის შესრულება — და უფრო ღრმა კვალის გავლებითაც — თამამად შეუძლია ჰიპნოზს, რომელიც, ამასთან, ორმაგად და სამმაგად უფრო დამღუპველ ზემოქმედებას ახდენს ადამიანის ორგანიზმსა და ნერვულ სისტემაზე. „მას შემდეგ, რაც ამერიკულ კალათბურთში გახსნილ იქნა დოპინგის ჩმარების ფაქტები, — ასე იწყებოდა როუზის სტატია „ამა ნიუსში“, — კალათბურთელი საქმოსნები გადავიდნენ ჰიპნოზზე...“

გამოკვლევამ დაადასტურა, რომ სიეტლის კალათბურთელები შეხვედრების წინ გადიოდნენ ჰიპნოზის სპეციალურ სეანსებს, რომლებიც ზოგჯერ რამდენიმე საათსაც კი გრძელდებოდა.

ჰიპნოზი მედიცინის ერთ-ერთი საშუალებაა დაავადებულ ადამიანთა განსაკურნავად. მაგრამ ახლა იგი გახდა ჯანსაღი ადამიანების დაავადების საშუალებად ამერიკული სპორტის საქმოსნების ხელში, რომლებიც ყველაფერს კისრულობენ მოგების მასალებად.

## საზღვარგარეთის ამბები



საბჭოთა კავშირ-აშშ-ს მძლეოსანთა მატჩში ამერიკელმა ვ. უაიტმა ქალთა შორის სიგრძეზე ხტომაში აჩვენა 6 მ 40 სმ. და დაამყარა ამერიკის რეკორდი.

**სურათზე:** ვ. უაიტი ხტომის დროს.

ფოტო ვ. ტუტოვისა.

### „რეალის“ გასტროლები

ესპანეთის მორიგი ჩემპიონატისა და ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების დაწყებამდე მადრიდის ცნობილი საფეხბურთო კლუბი „რეალი“ გამართავს დიდ საგასტროლო ტურნეს. „რეალი“ ჯერ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გაემგზავრება, ხოლო მომდევნო მატჩებს ჩაატარებს ლათინურ ამერიკაში, სადაც დარჩება სექტემბრის დასაწყისამდე.

„რეალი“, რომელსაც ამჟამად მუნოზი წვრთნის, თავდასხმაში თამაშობს სტაბილური შემადგენლობით: მატეოსი-დელ სოლი-დი სტეფანო-პუშკაში-ჰენტო. ოთხი ამ თავდამსხმელთაგან ესპანეთის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში შედის. უცხოელი მიმომხილველების, კერძოდ, არგენტინის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ვ. სპინეტოს აზრით, „რეალის“ მთავარ ძალად დღეისათვის ითვლება საუცხოოდ შეთამაშებული „დუეტი“ — დელ სოლი-დი სტეფანო. დაცვაში კვლავ გამოირჩევა „ნაციონალიზებული“ ურუგვაელი სანტამარია. „რეალის“ მნიშვნელოვანი შენაძენია ახალგაზრდა მეკარე ვისენტე, რომელიც დღეისათვის უძლიერესია ესპანეთში.

### ცნობები ბელგრადიდან

გამოვიდა მძლეოსანთა ევროპის VII ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის მორიგი საინფორმაციო ბიულეტენი, რომელმაც გამოაქვეყნა შეჯიბრების პროგრამა. ვაჟები გამარჯვებისათვის იბრძოლებენ: 100, 200, 400, 800, 1500, 5000, 10.000 მეტრზე რბენაში, 110 და 400 მეტრზე თარჯრბენში, 3000 მ დაბრკოლებით რბენაში, ესტაფეტაში 4×100 და 4×400-ზე, მარათონულ რბენაში, 20 და 50 კმ სპორტულ სიარულში, სიგრძესა და სიმაღლეზე ხტომაში, ჭოკითა და სამხტომში, ბირთვის კვრაში, ბადროს, შუბისა და უროს ტყორცნაში, ათჭიდში. ქალები გამოვლენ: 100, 200, 400 და 800 მ რბენაში, 80 მ თარჯრბენში, ესტაფეტაში 4×100 მეტრზე, სიგრძესა და სიმაღლეზე ხტომაში, ბირთვის კვრაში, ბადროსა და შუბის ტყორცნაში, ხუთჭიდში.

ბიულეტენი იძლევა მოკლე ცნობებს ევროპის წინა ჩემპიონატების შესახებ. პირველ ჩემპიონატში—ტურინში შეჯიბრება ჩატარდა მხოლოდ ვაჟთა გუნდებისათვის. მონაწილეობდა 16 ქვეყანა. ოთხი წლის შემდეგ, 1938 წელს მეორე ჩემპიონატი გაიმართა პარიზში. ამ წელს ქალებმა სცადეს ძალები, მაგრამ არა პარიზში, არამედ ვენაში. მორიგი ჩემპიონატი შედგა ოსლოში 1946 წელს. აქ პირველად გამოვიდა საბჭოთა კავშირის გუნდი. შემდეგი ჩემპიონატები ტარდებოდა ყოველ 4 წელიწადში ერთხელ. ბრიუსელში (19 გუნდის), ბერლინში (21 გუნდის) და ბოლოს სტოკჰოლმში — 27 გუნდის მონაწილეობით.

ბიულეტენი აქვეყნებს საინტერესო ცნობას, რომელიც ეხება იუგოსლავიის ჰიდრომეტეოროლოგიურ სამსახურს. მასში ლაპარაკია შეჯიბრების დღეებში მოსალოდნელი ამინდის შესახებ. ჰიდრომეტეოროლოგიურმა სამსახურმა შეისწავლა უკანასკნელი წლის განმავლობაში სექტემბრის (როცა ჩატარდება პირველობა) ამინდები და დაადგინა, რომ ჰაერის ტემპერატურა იქნება 15 გრადუსი, წნევა — 758-746 მმ. ამ პერიოდში არ იცის ძლიერი ქარი.



☆

სპორტის ტექნიკურ სახეობათა საკავშირო სპარტაკიადაზე საქართველოს მოტოციკლისტებმა დაიკავეს მეორე ადგილი.

**სურათზე:** საქართველოს გუნდის წევრი ხ. ლიომილიძე ტრასაზე.

ფოტო ვ. ტუტოვისა.

☆

★

თბილისში, რუსთაველის გამზირზე გაიხსნა ახალი კეთილმოწყობილი სპორტული მაღაზია, რომელშიც დიდი რაოდენობითაა ხხვადასხვა სახის სპორტსაქონელი.

**სურათზე:** სპორტული ველოსიპედების სექციაში.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

★



რედაქტორი ი. უზულავა

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 04022